

ონლაინ ტესტირების პროგრამა Examen (Front End)

გიორგი ლომსაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამული ინჟინერია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ერეკლე მაღრაძე, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ლომსაძე

14.07.2021.

აბსტრაქტი

სამყაროს განვითარებასთან ერთად ვითარდება ტექნოლოგიებიც და მასთან ერთად ვითარდება ვებ-პროგრამირებაც. ყოველთვის საყურადღებო და მნიშვნელოვანია კომპიუტერული მეცნიერებების სფეროში ახალი ინოვაციური პროექტის შექმნა და დანერგვა, რომელიც უფრო მარტივს ხდის ადამიანების საქმიანობას მათთვის საჭირო სფეროში. მოგეხსენებათ, რომ პანდემიის გამო სწავლება გადავიდა ონლაინ რეჟიმზე, ამიტომაც საჭირო გახდა შექმნილიყო ახალი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა ონლაინ რეჟიმში გამოცდების ჩატარებასა და სტუდენტის ცოდნის რეალურად განსაზღვრას. ნაშრომის სახელწოდებაა ონლაინ ტესტირების პროგრამა „Examen“ (Front End). პლათფორმის შემუშავებისას გამოყენებული იქნა Angular და Angular Material ტექნოლოგიები. მოცემული ტექნოლოგიები საშუალებას მოგვცემს საიტი გავხადოთ მარტივად ორიენტირებადი სტუდენტებისათვის, რათა არ მოხდეს რამე გაუგებრობა და არ შეიქმნას პრობლემა გამოცდის ჩატარების დროს. ასევე არსებობს ლექტორებისათვის გვერდი, საიდანაც მარტივად შექმნიან სტუდენტებისათვის განკუთვნილ ტესტებს. პროგრამა დიდი პასუხისმგებლობის მატარებელია, რადგან ამით ხდება სტუდენტის რეალური ცოდნის შეფასება, ამისათვის სტუდენტის ყველა მოქმედება გადაეცემა Back End -ს. მოცემული პროგრამით მარტივი იქნება გამოცდების ჩატარება და უფრო მოქნილს გახდის დისტანციური სასწავლო რეჟიმის დროს სტუდენტის ცოდნის გამოცდას.

საკვანძო სიტყვები : ონლაინ ტესტირების პროგრამა, Back End , Front End

Abstract

As the world evolves, so does technology and so does web programming. It is always important to create and introduce a new innovative project in the field of computer science, which makes it easier for people to work in the field they need. We are well aware that due to the pandemic, teaching has moved to online mode, so it became necessary to create a new program that would provide online exams and actually determine the student's knowledge. The title of the paper is the online testing program Examen (Front End). Angular and Angular Material technologies were used in the development of the platform. These technologies will allow us to make the site easy for students to navigate, so that no misunderstandings occur and no problems arise during the exam. There is also a page for lecturers from which they can easily create tests for students. The program carries a great deal of responsibility, as this will assess the student's real knowledge, for which all student actions will be transferred to the Back End. This program will make it easier to take the exams and make it more flexible to test the student's knowledge during the distance learning mode.

Keywords: Online Testing Program, Back End , Front End

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო, ჩემს პროექტის ხელმძღვანელს, ბატონ ერეკლე მაღრაძეს, რომელმაც ძალიან დიდი შრომა ჩადო და დიდი წვლილი მიუძღვის ონლაინ საგამოცო აპლიკაცია „Examen“- ის შექმნაში. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კურსელებს, რომლებიც მოცემული პროექტის განვითარებაში იღებდნენ მონაწილეობას, ესენია : გორგი მირზაშვილი - Back End- ის ავტორი და ალექსი ტაბიძე, რომელმაც შექმნა ონლაინ საგამოცდო პლატფორმისთვის კითხვების მიმდევრობების ოპტიმალური გენერატორი. აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო ალექსი ტაბიძის ხელმძღვანელ ბატონ კოტე შოთა ცისკარიძეს და ავთანდილ მღებრიშვილს, რომელიც გახლავთ მოცემული საგამოცდო პორტალის დიზაინის ავტორი.